მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს შპს „მედ თრეიდერის“ (შედგომში კომპანია) მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად და ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მსს ფასს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 12 ოქტომბერს.

შპს „მედ თრეიდერის“ დირექტორი: სალომე დვალი

შპს "მედ თრეიდერი" MED TRADER 400155292 "MED TRADER" LTD

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	10	2,384,334	2,517,730
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,872,726)	(1,921,037)
საერთო მოგება		**511,609**	**596,693**
მარკეტინგის ხარჯები		(4,848)	(1,711)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები		(10,640)	(8,314)
საიჯარო ქირა		(12,471)	(10,811)
შრომის ანაზღაურება		(177,243)	(186,813)
მივლინების ხარჯები		(268)	(380)
საპენსიო შენატანი		(3,797)	(3,839)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(9,298)	(3,724)
ცვეთა და ამორტიზაცია		(10,353)	(6,251)
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯები		(2,307)	(6,245)
საგადასახადო ხარჯები		(4,025)	(12,259)
კომუნიკაციის ხარჯები		(5,294)	(4,534)
ბანკის მომსახურების ხარჯები		(9,924)	(6,780)
საოფისე ხარჯები		(1,642)	(564)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(38,853)	(28,728)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(290,964)**	**(280,952)**
საოპერაციო მოგება		**220,645**	**315,741**
ფინანსური ხარჯები		(54,926)	(68,171)
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(62,353)	(53,356)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი/(ზარალი)		-	(220)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		8,387	**5,895**
მოგება დაბეგვრამდე		**111,753**	**199,891**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის მოგება		**111,753**	**199,891**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		**111,753**	**199,891**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 12 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: სალომე დვალი ----------

შპს "მედ თრეიდერი" MED TRADER 400155292 "MED TRADER" LTD

8-23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მედ თრეიდერი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

თბილისი, 2021

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს შპს „მედ თრეიდერის“ (შედგომში კომპანია) მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად და ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მსს ფასს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 12 ოქტომბერს.

შპს „მედ თრეიდერის“ დირექტორი: სალომე დვალი

შინარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....6

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება----------7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....8
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....16
4. ძირითადი საშუალებები 18
5. ფული და ფულის ეკვივალენტები.....19
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....19
7. მარაგები 19
8. სესხები 19
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 20
10. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან 20
11. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან 20
12. ფინანსური და სხვა რისკების მართვა 21
13. პირობითი აქტივები და ვალდებულებები 23
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 23

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	10	2,384,334	2,517,730
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,872,726)	(1,921,037)
საერთო მოგება		**511,609**	**596,693**
მარკეტინგის ხარჯები		(4,848)	(1,711)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები		(10,640)	(8,314)
საიჯარო ქირა		(12,471)	(10,811)
შრომის ანაზღაურება		(177,243)	(186,813)
მივლინების ხარჯები		(268)	(380)
საპენსიო შენატანი		(3,797)	(3,839)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(9,298)	(3,724)
ცვეთა და ამორტიზაცია		(10,353)	(6,251)
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯები		(2,307)	(6,245)
საგადასახადო ხარჯები		(4,025)	(12,259)
კომუნიკაციის ხარჯები		(5,294)	(4,534)
ბანკის მომსახურების ხარჯები		(9,924)	(6,780)
საოფისე ხარჯები		(1,642)	(564)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(38,853)	(28,728)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(290,964)**	**(280,952)**
საოპერაციო მოგება		**220,645**	**315,741**
ფინანსური ხარჯები		(54,926)	(68,171)
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(62,353)	(53,356)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი/(ზარალი)		-	(220)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		8,387	**5,895**
მოგება დაბეგვრამდე		**111,753**	**199,891**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის მოგება		**111,753**	**199,891**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		**111,753**	**199,891**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 12 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: სალომე დვალი ----------

8-23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	33,598	37,279
არამატერიალური აქტივები		4,662	5,200
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,261	42,479
გაცემული მოკლევადიანი სესხები	8	2,350	-
საგადასახადო აქტივები		6,463	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		59,168	25,455
მარაგები	7	796,054	879,232
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	739,519	620,946
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	3,676	35,432
სულ მიმდინარე აქტივები		1,607,230	1,561,065
სულ აქტივები		1,645,490	1,603,544
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		292	292
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		796,686	684,932
სულ კაპიტალი		796,978	685,224
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	8	365,562	444,494
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		365,562	444,494
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული მოკლევადიანი სესხები	8	200,221	169,685
საგადასახადო ვალდებულებები		-	6,430
მიღებული ავანსები		36,678	10,337
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	246,053	287,374
სულ მიმდინარე ვალდებულებები		482,951	473,826
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,645,491	1,603,544

8 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარი	**292**	**485,042**	**485,334**
საწესდები კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-		-
წლის სრული შემოსავალი	-	199,891	199,891
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	**292**	**684,933**	**685,225**
საწესდები კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	111,753	111,753
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	**292**	**796,686**	**796,978**

8 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		111,753	199,891
კორექტირებები:			
ცვეთა	4	10,353	6,251
მოთხოვნების გაუფასურება		2,307	6,245
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		-	220
ფინანსური ხარჯი		54,926	68,171
კურსთაშორის სხვაობისდან მიღებული ზარალი/მოგება		62,353	53,356
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		**241,691**	**334,132**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება		(118,573)	(228,844)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ზრდა/შემცირება		(33,713)	119,355
მარაგების ზრდა/შემცირება		83,178	(226,532)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება		(41,321)	193,235
მიღებული ავანსების ზრდა/შემცირება		26,341	(15,189)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება		(12,893)	(7,423)
გადახდილი პროცენტი		(24,390)	(36,729)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**120,319**	**132,005**
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**120,319**	**132,005**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(5,030)	(30,761)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(5,380)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		-	508
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(5,030)**	**(35,632)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხის დაფარვა		(131,404)	(73,209)
სესხის გაცემა		(2,350)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**(133,754)**	**(73,209)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		(18,465)	23,164
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5	35,432	17,169
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(13,291)	(4,901)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5	**3,676**	**35,432**

8 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მედ თრეიდერი“ დაფუძნდა 2015 წლის 23 ოქტომბერი. მისი სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია 400155292. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, დ.თავდადებულის ქ., N 20, ბ. 18. საზოგადოების მთავარი საქმიანობის საგანს წარმოადგენს - ფარმაცევტული საქონლით ვაჭრობა.

შპს „მედ თრეიდერის“ დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ოთარ გადაბაძე.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - სალომე დვალი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღირცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ,,მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ’’ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ზემოთ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებას. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარული წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2020	31.12.2019
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	4.0233	3.2095

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა (ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები) და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხები სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან

იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.
2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი

ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	**5**
ოფისის აღჭურვილობა	**5**
ავეჯი და სხვა ინვენტარი სამეურნეო	**5**
სატრანსპორტო საშუალებები	**8**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება. ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის

გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადა შეფასებულია 5 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი

საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების

შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა)ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტი საშუალებები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	სულ
ბალანსი 2019 წლის 01 იანვარი	**-**	**12,151**	**-**	**4,798**	**16,949**
შემოსვლა	19,536	-	2,693	8,531	30,760
გასვლა	-	-	-	(847)	(847)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**19,536**	**12,151**	**2,693**	**12,482**	**46,862**
შემოსვლა	2,267	-	3,867	-	6,134
გასვლა	-	-	-	-	-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**21,803**	**12,151**	**6,560**	**12,482**	**52,996**
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2019 წლის 01 იანვარი	**-**	**(3,038)**	**-**	**(593)**	**(3,631)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(1,348)	(1,519)	(1,000)	(2,204)	(6,071)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	120	120
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**(1,348)**	**(4,558)**	**(1,000)**	**(2,677)**	**(9,583)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(4,287)	(1,519)	(1,260)	(2,749)	(9,815)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**(5,635)**	**(6,077)**	**(2,260)**	**(5,426)**	**(19,397)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
ბალანსი 2019 წლის 01 იანვარი	**-**	**9,113**	**-**	**4,205**	**13,318**
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**18,188**	**7,593**	**1,693**	**9,805**	**37,279**
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**16,168**	**6,074**	**4,300**	**7,056**	**33,599**

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	940	-
ფულის საბანკო ანგარიშებზე	2,736	35,432
სულ:	**3,676**	**35,432**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	755,773	634,894
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**755,773**	**634,894**
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(16,254)	(13,947)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**739,519**	**620,947**

7. მარაგები

მარაგების 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სარეალიზაციო ფარმაცევტული საქონელი	794,204	877,747
ნედლეული და მასალები	1,851	1,485
სულ:	**796,054**	**879,232**

8. სესხები

მიღებული სესხები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი

მსესხებლის დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2020	31.12.2019
ელგუჯა გოცირიძე	14%	აშშ დოლარი	117,418	86,652
გიგი გოცირიძე	14%	აშშ დოლარი	82,803	83,034
სულ:			**200,221**	**169,685**

მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი

მსესხებლის დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2019	31.12.2018
ელგუჯა გოცირიძე	14%	აშშ დოლარი	229,362	200,739
გიგი გოცირიძე	14%	აშშ დოლარი	136,200	243,755
სულ:			**365,562**	**444,494**

გაცემული მოკლევადიანი სესხი

მსესხებლის დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2020	31.12.2019
შპს "ვივა თაუერი"	11.8%	ლარი	2,300	-

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	241,026	282,474
გადასახდელი ხელფასები	5,027	4,900
სულ ვალდებულებები	**246,053**	**287,374**

10. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან 2020 და 2019 წლების საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	2,391,858	2,520,185
რეალიზებული პროდუქციის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(7,523)	(2,455)
სულ:	**2,384,334**	**2,517,730**

11. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის

- წევრები;
- ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არ განუხორციელებია ისეთი არსებითი ოპერაციები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით განმარტებას.

12. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაშ არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

13. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

კომპანიას არ უფიქსირდება პირობითი აქტივები და ვალდებულები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რომელიც 2021 წლის განმავლობაშიც გრძელდება. COVID-19–მა გლობალურად გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მკვეთრი შეფერხება და ეკონომიკური მომავლის გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა. ვალუტის კურსის მკვეთრი უარყოფითი ცვლილება საქმიანობის დაგეგმვას და მომავლის პროგნოზირებას კიდევ უფრო ართულებს, მაგრამ კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შეძლებს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დაძლევას.